ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2018 წლის ---- ---------- ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა # ------

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. N107ლ-ში მდებარე 544,0 კვ.მ. სხვენი (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012.01.01.501) და 546,0 კვ.მ. სარდაფი (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012.01.01.500);

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების ლერმონტოვის ქ. N107ლ-ში არსებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნდობა“-სათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა

ბ) გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ ქონებაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება ქონების განკარგვა განკარგულების მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად.

სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს ქონების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

3. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და გადაცემული უძრავი ქონების მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარება.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. #30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

„დამტკიცებულია“

თვითმმართველი ქალაქის _ ბათუმის
საკრებულოს განკარგულება
2010 წლის 29 ოქტომბერი №129

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის
უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ბათუმის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა ფარგლებში, თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 აპრილის #26 განკარგულებით ქ. ბათუმში, 226ბ კვარტალში, ს. ხიმშიაშვილისა და ლერმონტოვის ქუჩების მიმდებარედ (დღეისათვის ლერმონტოვის ქ. N107ლ) არსებული 2333,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012) გამოიყო მუნიციპალური მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის. ბოტანიკურ ბაღში მცხოვრები ოჯახების განსახლების მიზნით ქ. ბათუმში, ს. ხიმშიაშვილისა და ლერმონტოვის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე ა(ა)იპ ასოციაცია „ატუ“-ს მიერ საერთაშორისო საქველმოქმედო „ფონდი ქათუ“-დან გრანტის პროგრამის ფარგლებში მიღებული თანხებით აშენებული იქნა ხუთსართულიანი 42 ბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც უსასყიდლოდ, საკუთრებისა და განკარგვის უფლებით გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მცხოვრები ოჯახების სამსახურეობრივი საცხოვრებელი სადგომებიდან ს. ხიმშიაშვილისა და ლერმონტოვის ქუჩების მიმდებარედ ახლად აშენებულ საცხოვრებელ სახლში განსახლება (ყველა საცხოვრებელი ფართის (ბინები) უსასყიდლო საკუთრებაში გადაცემა), თუმცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარჩა 544,0 კვ.მ. სხვენი (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012.01.01.501; სხვენში არსებული კიბის უჯრედი: 21,0 კვ.მ. სართულის ფართობი: 565,0 კვ.მ.) და 546,0 კვ.მ. სარდაფი (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012.01.01.500; სარდაფში არსებული კიბის უჯრედი: 39,90 კვ.მ. სართულის ფართობი: 585,90 კვ.მ.). აღნიშნულ მრავალბინიან სახლში შეიქმნა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნდობა“, რომლის წევრებმაც 2018 წლის 26 ივნისს N20441/25 განცხადებით მომართეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვეს ხსენებული სამეურნეო ფართების (სხვენი სარდაფი) საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ 2018 წლის 01 ოქტომბერს N25/17795 წერილით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მითითებული სხვენისა და სარდაფის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის საკითხის განსახილველად, შემდგომში ამავე მრავალბიანიანი სახლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნდობა“-ს წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 29 ოქტომბერს შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის N1383/02

(N30010/25) წერილი, რომლითაც მოთხოვნილ იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. N107ლ-ში მდებარე 544,0 კვ.მ. სხვენისა (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012.01.01.501) და 546,0 კვ.მ. სარდაფის (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012.01.01.500) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნდობა"-სათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის მიზნით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, შემდგომში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნდობა"-სათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასაცემად, ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. N107ლ-ში მდებარე 544,0 კვ.მ. სხვენი (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012.01.01.501) და 546,0 კვ.მ. სარდაფი (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012.01.01.500) საკუთრებაში გადაეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი: ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. N107ლ-ში მდებარე 544,0 კვ.მ. სხვენისა (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012.01.01.501) და 546,0 კვ.მ. სარდაფის (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012.01.01.500) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნდობა"-სათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი

ეგარსლან ლომაძე